# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

22 თებერვალი ხუთშაბათი
2024 წელი
№8 (9322)
ფასი 40 თეთრი


## ირაკლი კობახიძე ილია მეორეს ესტუმრა!



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს საპატრიარქოში ესტუმრა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, პატრიარქმა და პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე ისაუბრეს.

მათივე ცნობით, პატრიარქმა ირაკლი კობახიძეს თანამდებობაზე დანიშვნა კიდევ ერთხელ მიულოცა.

### საქართველოს პრემიერ-მინისტრი:
## ის პოლიტიკის გროსმაისტერია!



ბიძინა ივანიშვილი წლების მანძილზე უპრეცედენტო საქველმოქმედო მოღვაწეობით ზრუნავდა ქართული კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, 2012 წელს კი მან განახორციელა უპრეცედენტო პოლიტიკური ქველმოქმედება და უდიდესი რისკის ფასად, ანტიევროპული ტიპის ავტორიტარიზმი დემოკრატიული მმართველობით ჩაანაცვლა.

ბიძინა ივანიშვილი არის საქართველოს პატრიოტი და პოლიტიკის გროსმაისტერი. არაერთხელ აღინიშნა და კიდევ ერთხელ უნდა ითქვას — ის, რომ საქართველოს დღეს აქვს მშვიდობა, დემოკრატია, ეკონომიკური წინსვლა და ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, პირველ რიგში, არის სწორედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება. ბატონ ბიძინა ივანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს! ვუსურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ყოველივე საუკეთესოს მას გამორჩეულ ოჯახთან ერთად!", — წერს ირაკლი კობახიძე.

## საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან



ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები მიმდინარეობს.

დაბა წაღვერში, სოფელ მზეთამზეში, ტიმოთესუბანში და დაბაში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** სამცხის მაჟორიტარი დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრებზე დასახლებებში არსებული საჭიროებები განიხილეს და ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით", საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

### ირაკლი ღარიბაშვილი

## 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენი მიზანია ძლიერი გამარჯვება, ძლიერი შედეგი, საკონსტიტუციო უმრავლესობა!,



**მარტიდან, მომდევნო 100 დღის განმავლობაში ვგეგმავ 10 რეგიონში ჩასვლას, ათი გასვლითი ღონისძიება, ჩვენი პარტია უნდა მოემზადოს არჩევნებისათვის,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, პარტიის თავმჯდომარის რანგში ვმართავ პირველ ბრიფინგს და მინდა, გაცნობოთ თქვენ და საზოგადოებას ჩემი გეგმების შესახებ. მარტიდან, მომდევნო 100 დღის განმავლობაში ვგეგმავ ათ რეგიონში ჩასვლას. მექნება ათი გასვლითი ღონისძიება. ვაპირებ, შევხვდე ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს, რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ჩვენს აქტივს, მოსახლეობას, რათა ადგილზე გავეცნო მათ საჭიროებებს. მთავარი მიზანი ამ შეხვედრების იქნება რეალურად წინასაარჩევნო კამპანიის მომზადება, მზადება არჩევნებისთვის, ჩვენი პარტია უნდა მოემზადოს არჩევნებისთვის. მოგეხსენებათ, ჩვენი გაცხადებული მიზანი არის, რომ მაქსიმალური შედეგი მივიღოთ ამ არჩევნებზე. ამისთვის საჭირო არის მაქსიმალური მობილიზაციის გაკეთება, ჩვენი რესურსების, ჩვენი აქტივის მთლიანად მობილიზება, რომ მივიღოთ ძლიერი გამარჯვება და ძლიერი შედეგი ამ არჩევნებზე.

მე გავიმეორებ ჩვენს მიზანს — ჩვენი მიზანი არის მივიღოთ საკონსტიტუციო უმრავლესობა მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი პარტიის თითოეულ წევრს. მე მექნება მათთან შეხვედრები, გვექნება ათი გასვლითი ღონისძიება. ასევე, მინდა, გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რა თქმა უნდა, პარლამენტთან. მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და წარმატება ვუსურვო პრემიერ კობახიძის მთავრობას, ყველა მინისტრს"!

### შემეცნებითი ცენტრის „მანტიას" ახალი პროექტი
## გიწვევთ მხატვრული კითხვისა და წერის კონკურსზე




ახალი ინიციატივებითა და იდეებით აღჭურვილი შემეცნებითი ცენტრი „მანტია" ჰიბრიდული სასწავლო პროცესით მხატვრული კითხვისა და წერის დღეებს თავაზობს სკოლის მოსწავლეებს. მალე გაზაფხულის მზიანი დღეებიც მოვა, ვფიქრობ, ბუნების წიაღში მხატვრულ კითხვას, მოსწავლეების ჩანახატების მოსმენას ვერაფერი შეედრება.

მოსწავლეთა ასაკი შეზღუდული არ არის. ნებისმიერ მსურველს, რომელსაც მოსწონს მხატვრული კითხვა და სურს ისწავლოს ჩანახატებისა და ჩანაწერების მხატვრულად წერის უნარჩვევები, მაშინ ეს ინიციატივა სწორედ მათთვისაა.

შაბათ-კვირის რამდენიმე საათი დაუთმე მხატვრულ კითხვასა და წერას. ჯგუფები დაკომპლექტდება მოსწავლეთა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. ყოველი წლის ბოლოს გამოიცემა „მანტიას" მოსწავლეთა ჩანაწერების წიგნი და აუდიო ვერსია. მოსწავლეების გამორჩეული ჩანაწერები კი გამოქვეყნდება უკვე ფერად, ისტორიულ გაზეთ „ბორჯომის" ფურცლებზე. ჩვენ ვითანამშრომლებთ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებასთან და ჩვენ, მანტიელები ყოველ დღეს ვაქცევთ წიგნის საჯაროდ, ხმამაღლა კითხვის დღედ, ხოლო მოსწავლეების მხატვრულად წაკითხული ლექსებისა და ჩანაწერების ვიდეო ვერსიები აიტვირთება ჩვენს ოფიციალურ Facebook ვებ.გვერდზე: შემეცნებითი ცენტრი მანტია".

მოსწავლეების ჩანახატების ჟიურის შეფასების კრიტერიუმებით მოხდება და დაიბეჭდება გაზეთში.

ცენტრის ფუნქციონირებისათვის და ღონისძიებების დასაგეგმად, მსურველები გადაიხდიან სიმბოლურ თანხას - თვეში 20 ლარს, რომელიც მთლიანად „მანტიას" განვითარებასა და მოსწავლეთა ნაშრომების კრებულის გამოცემას მოხმარდება.

**ჟიურის შემადგენლობაში არიან: იზა იანვარაშვილი,** განათლების მაგისტრანტი და ჟურნალისტი, „მანტიას" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

**ნაირა ამანათაშვილი,** საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი;

**ნატო მელიქიძე** – „ბორჯომის" რედაქტორის მოადგილე;

**ვალერიან ლომიძე,** გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი.

**შემოგვიერთდით, გელოდებით.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვწერეთ პირად შეტყობინებაში, ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 577605984; 579117065 ელ.ფოსტაზე:iza.ianvarashvili@gmail.com

## იმსჯელეს შეზღუდულ პირ ბენეფიციართა პრობლემებზე



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომა გამართა.

სხდომაზე განხილული იქნა, 2023 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და დამტკიცდა 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

სხდომას უძღვებოდა მერის მოადგილე და საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ტაბატაძე. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები, შშმ პირები და შშმ პირების მშობლები.

### სხადება კონკურსი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია არქიტექტორის პოზიციაზე გამარტივებულ კონკურსს აცხადებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში გამარტივებული კონკურსი გამოცხადდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის-არქიტექტორის თანანდებობის დასაკავებლად.

ვაკანსიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად და განაცხადის შესავსებად ეწვიეთ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდს - https://www.hr.gov.ge/Home/About

# როგორც ვიშრომებთ, ისე ვიცხოვრებთ

**2023 წლის ბოლოს საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა, რაც ხელისუფლების და პარტია „ქართული ოცნების“ უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოხდა. ახლა დარჩენილი იმ ცხრა დავალების შესრულებაა საჭირო, რათა ევროპის სრულუფლებიანი წევრები გავხდეთ.**

როგორია ამ მეტად საპასუხისმგებლო დავალების შესრულებაში ოპოზიციური პარტიების როლი? თუ გულწრფელები ვიქნებით, ოპოზიციას ევროპარლამენტში შესვლა კი უნდა, მაგრამ არა „ქართული ოცნების“ სახელით.

ასეთი მძიმე სიტუაცია, როგორიც დღესაა, საქართველოს საშინაო პოლიტიკაში არასდროს ყოფილა. თუ სიმართლეს ვიტყვით, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის და თავისუფლების გზა აირჩია, თითქმის 34 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ქვეყანა არ დაწყნარებულა და ამის მკაფიო მაგალითს ჩვენი პარლამენტის ყოველდღიური მუშაობაც წარმოადგენს. თითოეული ჩვენთაგანი მრავალმხრივი უკუღმართობის თუ უხამსობის მომსწრენი და თვითმხილველი გავხდით. საქვეყნო საქმეებისა და პრობლემების გადაწყვეტისათვის კი არა, პირადი ინტერესებისათვის უფრო არიან შეკრებილები. იშვიათია დღე, პარლამენტის სხდომებმა აყალმაყალისა და ურთიერთშეურაცხყოფის გარეშე ჩაიაროს.

ოცდაათ წელზე მეტია, რაც დამოუკიდებლობის გზას დავადექით, ვერ ვიტყვი, რომ ამ ხნის მანძილზე სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა, როგორ არ არის, თბილისი და მუნიციპალიტეტის ცენტრები დღითიდღე შენდება და მშვენდება, სამაგიეროდ სოფლები თანდათანობით იცლება და მდუმარე სასაფლაოს ემსგავსება. ამ პრობლემაზეც არაერთხელ დაგვიწერია.

სამწუხაროდ, ყველაზე საყურადღებო, სოციალური უთანასწორობა და უთანხმოებაა. ჩვენს ირგვლივ მდიდრები ერთმანეთს ეჯიბრებიან ქონების დაგროვებაში, ამასობაში ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან.



ოპოზიცია-პოზიციონერები შურით და ბოღმით დასდევენ ერთმანეთის ქონებას.

უმადური და სხვის ხელში შემყურე ადამიანებიც მოგვიმრავლდნენ, მიმოიხედეთ ირგვლივ და მკაფიოდ დაინახავთ, რაღაც მაქინაციებით როგორ დაიწყეს უშრომელი გზით შემოსავლების დაგროვება.

არადა, რიგითი ადამიანები, რომლებსაც წამდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერების და სხვა ახლადგამოჩეკილი პოლიტიკოსების ხმამაღლა ნათქვამი, - ოღონდ დამოუკიდებლები ვიყოთ და ბალახს შევჭამთ, ქვეყნის ეკონომიკას ჩაი და „ბორჯომის“ წყალი ეყოფა და ბედნიერად ვიცხოვრებთო.

ოცდაათი წლის გადასახედიდან კარგად გვახსოვს, რაც ფაბრიკა-ქარხნები გვქონდა, ჯართად გავიტანეთ თურქეთში. ახალი ვერაფერი ავაშენეთ და ბალახს არა, მაგრამ ერთმანეთს ნამდვილად ჭამენ ხელისუფლებაში მოსასვლელად.

**ამბობენ, იმედი ყველაზე ბოლოს კვდებაო. იმედიანი ცხოვრება მინდა ვუსურვო ყველას. ახალი 2024 წელი მართლაც იმედიანად დაიწყო. „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეობა ბიძინა ივანიშვილმა ითავა. ხელისუფლებას ახალგაზრდა პარლამენტარი ირაკლი კობახიძე ჩაუდგა სათავეში, „ქართული ოცნების“ პარტიას კი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს. მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს პარლამენტის არჩევნები გაიმართება. ახლა წინასაარჩევნო მზადება დაიწყო და ყველა პოლიტიკური პარტია იძახის, - ხმა ჩვენ მოგვეცით და გიშველით. თუ ოპოზიცია არჩევნებში გაიმარჯვებს, მათ ეშველებათ თუ ჩვენ, ამაზე დიდი დაფიქრება გვმართებს, როგორ გადაწყვეტილებას მივიღებთ. როგორც ჩანს, რუსეთ-უკრაინის და ახლო აღმოსავლეთის ომებმა, მსოფლიოში დაძაბული სიტუაცია შექმნა. როდის დამთავრდება შეიარაღებული კონფლიქტები, არავინ იცის. ფაქტია, როგორც არ უნდა დამთავრდეს, მსოფლიო მრავალპოლუსიანად დაიყოფება. როგორ გადაწყდება პატარა საქართველოს ბედი? ეს საკითხიც გასარკვევია და დიდი დაფიქრება მართებს დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ დღეს, როცა კაცობრიობა და მათ შორის ჩვენი ქვეყანაც დენთის კასრზე ზის, საზოგადოებას ესაჭიროება იმედი, რწმენა, გაერთიანება, პატრიოტული მუხტი, მშვიდობიანი განვითარება, სწორედ ასეთი ქარიზმატული მუხტი გააჩნია ბიძინა ივანიშვილს.**

საქართველოს იმედი კიდევ დაბრუნდა პოლიტიკაში, იგი არ წასულა სამშობლოდან, მწამს, ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის გამონათქვამების და სურვილის გამო არც წავა საქართველოდან. მას ვერავინ გაიყვანს ერის ზნეობრივი და მენტალური სივრციდან. **ბიძინა ივანიშვილმა 12 წლის წინათ შეძლო დამსხვრეული სამშვიდობო სივრცის დაწყნარება, მან შექმნა ძლიერი პოლიტიკური პარტია და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის განვითარებას.**

ბიძინას მოდელმა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა უგუნური, ველური, რბილი სკამის მოყვარული პოლიტიკოსები, ამიტომაა აურზაური პარლამენტში, პოლიტიკოსების სხვადასხვა ფანჩატურებში.

ახლა ყველაფერი ჩვენზე დამოკიდებული, როგორი გონიერებით მივალთ არჩევნებში, როგორც ვიშრომებთ, როგორც ვიმოქმედებთ მშობლიური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ისე ვიცხოვრებთ!

**ვალერიან ლომიძე.**

## წიგნის განხილვა

# საყვარელ საქმეზე შეყვარებული

**ვინც** კარგად მიცნობს, მათ იციან, რომ უკვე ბოლო წლებია საყვარელ პროფესიას სიამოვნებით ვუთავსებ ახალ ინტერესს, რომელიც ხელნაკეთი ნივთების დამზადებას გულისხმობს. ამიტომაც, სოციალურ ქსელში ფეისბუქსა და ინსტაგრამზე ხშირად ვადევნებ თვალს ისეთ გვერდებს, სადაც ხელნაკეთი ნივთების დამზადების პროცესია ასახული. ჩემთვის, როგორც ამ სფეროში ჩახედული ადამიანისთვის კარგადაა ცნობილი, თუ რამდენ შრომას და ენერგიას მოითხოვს თითოეული ნივთის დამზადება. სრულიად მოულოდნელი გათამაშების გამარჯვებული აღმოვჩდი ახალი წლის წინა დღეებში, რომელიც ერთმა ახალგაზრდა ხელოვანმა ქალბატონმა მისივე გვერდის გამომწერებისთვის ჩაატარა. ჩემთვის მეტად სასიხარულო იყო, როდესაც სამ გამარჯვებულს შორის ჩემი სახელი და გვარი დაასახელა. ხელნაკეთი ნაძვის ხის სათამაშოს მფლობელი გავხდი. როდესაც კუთვნილი სათამაშოს გადმოსაცემად დამეკონტაქტა, მაშინ გავარკვიე, რომ წარმოშობით ბორჯომელი თეონა გურგენიძე გახლავთ.





თეონას ჩვენი გაზეთის მკითხველებიც მინდა, რომ იცნობდეთ.

- თეონა პროფესიით დაწყებითი კლასის მასწავლებელია და ამჟამად რუსთავის №18 საჯარო სკოლაში მათემატიკას ასწავლის. ხელნაკეთი ნივთების დამზადება კი მისი ბავშვობის ჰობია. თოჯინებისთვის ტანსაცმელს კერავდა, რომლებიც შემდგომ მოდაში ხდებოდა. ხელნაკეთი ნაძვის ხის სათამაშოების გარდა სამკაულებსაც ამზადებს, ე.წ. სუტაჟის მასალით.

სამსახურიდან გამომდინარე დღისით დრო არ აქვს, ამ[illegible] ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებს თითოეული ნივთის შექმნა, რაშიც მთელ სულსა და გულს დებს და უკვე შექმნილი უზომოდ უყვარს.

ორი წლის წინ გაუჩდა იდეა, რომ დაემზადებინა ნაძვის ხის სათამაშოები, ჯერ სახლისთვის ამზადებდა, შემდეგ კი ინტერნეტ გვერდი გააკეთა და აქვს მცირე შემოსავალი. ძირითადად ამზადებს სუტაჟის სამკაულებს და ნაძვის ხის სათამაშოებს. მიწოდებას რეგიონებში ფოსტის მეშვეობით ახდენს, ხოლო თბილისში მიწოდება უფასოა. ის თავად აწვდის ნებისმიერ მეტრო სადგურთან.

თეონას მეუღლე და ორი წლის გოგონა ჰყავს. სწორედ მეუღლეა ის ადამიანი, რომელიც ყოველთვის მხარში უდგას, ეხმარება და ამხნევებს.

- ძალიან მიყვარს ადამიანებს სიხარულს და ბედნიერებას რომ ვანიჭებ, ამიტომ გადავწყვიტე საახალწლოდ ჩემი გამომწერები გამეხარებინა. ამისთვის კი გამოვიყენე wheelofnames.com-ის საიტი და ვირტუალური ბორბალის მეშვეობით შემთხვევითობის პრინციპით გამოვლინდა სამი გამარჯვებული. ვაპირებ სამომავლოდ ტრადიციად ვაქციო გათამაშება და ყოველ წელს გავახარო ჩემი გამომწერები, - მითხრა თეონამ.

წარმატებები მინდა ვუსურვო საყვარელ საქმეზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს. შეუძლებელი ხომ არაფერია და თანაც მაშინ, როდესაც იმას აკეთებ, რაც გიყვარს და რაც მთავარია, ეს ყოველივე დიდ სიამოვნებასაც განიჭებს.

**ნატო მელითაძე**

## მკითხველო, თქვენ რას იტყვით!?

# უწყვეტი შეტყობინებები - დიასახლისის პოზიციაზე

**სტატიის** წერას იმ შეტყობინებით დავიწყებ, რომ სახელი დამლაგებელი დიდიხანია სიტყვა „დიასახლისმა“ ჩაანაცვლა, როდესაც სასტუმროები დიასახლისის ვაკანსიას აცხადებენ, გამოხმაურება ყველაზე ნაკლებად აქვს. რატომ?! ამ შეკითხვაზე ლოგიკური და სწორი პასუხის გაცემა ძალიან მარტივია, როდესაც თვით ამ სფეროში დასაქმებულ ქალბატონებს გაესაუბრებით, მათ იუმორნარევ პოსტებსაც ხშირად შეხვდებით, როგორი დაღლილები ბრუნდებიან შინ, რომლებსაც ოჯახში დიასახლისობის უნარი წართმეული აქვთ, იმდენად შრომატევადია მათი დღის განმავლობაში შესრულებული სამუშაო. ანაზღაურება კი მიზერულია, მით უმეტეს სასტუმროთა ფუნქციონირება სწორედ ამ ადამიანების შრომას უკავშირდება. ასეა ყველგან, ისინი სასტუმროში ყველაზე სუსტი წერტილი და ამავე დროს მთავარი სიმძიმე სწორედ დიასახლისებზე გადის. ამ დროს მათ შესაბამისი ანაზღაურებაც კი არ აქვთ, როცა თითქოს კანონმდებლობას მორგებულ სამუშაო საათებს მუშაობენ, მაგრამ ეს კანონმდებლობა მაინც არ აძლევთ შესრულებული შრომის შესაბამის არც დროს და არც ანაზღაურებას. მარტივად შემიძლია ვთქვა, რომ მხოლოდ ლუკმაპურისთვის არის საკმარისი დიასახლისობიდან გამომუშავებული თანხა. მძიმე სამუშაო ორმაგად უნდა უფასდებოდეს მოქალაქეებს, მაგრამ ვინ არის კერძო ბიზნესის გამკითხავ-მომკითხავი. თუმცა ისიც აშკარაა, რომ მათ ანგარიშებზე კარგად ჩანს, თუ კვლევას ჩაატარებენ, რამდენია დიასახლისის ხელფასი.

ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში ყველაზე კარგად ჩანს დამსვენებლისა და დიასახლისის განსხვავებული ცხოვრება. როცა ხედავ შესაძლებლობებს, ამავე დროს ფასებს და ამ დროს დიასახლისი იმ მინიმუმითაც კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს.

დიასახლისებს, რომ ვესაუბრები, პირად საუბრებში ყოველთვის აღნიშნავენ ურთულეს სამუშაო პირობებსა და დაბალ ხელფასს. სხვა გზა არ აქვთ, რა ქნან, სად წავიდნენ?! ვისაც წასასვლელი ჰქონდა, ისინი კიდეც წავიდნენ. აქ კი, კადრების სიმცირის გამო, ყოველდღიურად უწყვეტი შეტყობინებები ეგზავნებათ მოქალაქეებს დიასახლისის პოზიციაზე გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით.

ბოლო პერიოდია ვიდეორგოლებიც ვრცელდება, ახლა გერმანიისა და ევროპის სასტუმროებში ეპატიჟებიან სტუდენტებს დიასახლისის პოზიციაზე და „კარგი“ ანაზღაურებით დასაქმებას პირდებიან.

იმდენად ღია და თავისუფალი სივრცე მოგვცა ინტერნეტ კომუნიკაციამ და გლობალური გახადა სამყარო, რომ შეუძლებელი არავისთვის არაფერია. დიახ, დიასახლისად გერმანიის სასტუმროებშიც შეგიძლიათ დასაქმდეთ, იმ განსხვავებით, რომ შრომა აგინაზღაურდებათ, მაგრამ ფსიქოლოგიური და მორალური ზიანის სანაცვლოდ.

სულ სხვა თემას წარმოადგენს ქიმიური შენაერთები, რომლებსაც დიასახლისები დასუფთავებისას იყენებენ. ძალიან ხშირია, მათი ცუდად გახდომის ფაქტები. ჯანმრთელობის ცნობები, რომლებიც გაიცემა, საკითხავია, რეალურად შეესაბამება თუ არა მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯანმრთელობის ხარჯზე გამომუშავებულ თანხას, შემდეგ ისევ გამოჯანმრთელებისათვის ხარჯავენ. არანაირი კომპენსაცია, არანაირი დახმარება, როდესაც დიასახლისი ცუდად გახდება, ეტყვიან ნახვამდის და ამით მთავრდება მასთან „ხელშეკრულება“. სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი შრომითი უფლებების დაცვა. ასე მივიღებთ უსწრაფესად შემდეგ გამოცხადებულ



ვაკანსიების შესახებ შეტყობინებებს. აღარ მიკვირს არც გაურკვეველი ჯგუფები, რომლებიც მოქალაქეებს დაასაქმებენ. მიხარია, რადგან ეს იმის ნიშანია, რომ დიასახლისები თანდათან სწავლობენ საკუთარი თავისა და შრომის ფასს. მანამ, სანამ ბიზნესის მფლობელებიც არ ისწავლიან მოქალაქეების პატივისცემასა და შრომის დაფასებას ასე მოუწევთ კადრების ცვლა და ხვეწნა გამოცხადებულ პოზიციებზე.

მარტივია გამოუცდელი დათანხმდეს და იმუშაოს, როცა არ იცი, რა შრომის ფასად მოგიწევს სამსახურში შენი და თუ საჭიროა სხვისი მოვალეობების შესრულებაც. შემდეგ ვალდებულებად გაგიხდიან და ბოლოს უმრავლესობა იძულებული ხდება, ენერგია დაცლილმა დატოვოს სამსახური. ადამიანებისთვის ხომ იმედი და რწმენა უცვლელი მეგობარია.

ნუ მისცემთ, ნურც თქვენ თავს უფლებას, ასე მოექცეთ თქვენს მოქალაქეებს. თქვენი ოჯახის წევრები წარმოიდგინეთ მათ ადგილზე, იქნებ ასე მაინც გაგიჩნდეთ მათდამი თანაგრძნობის განცდა და შექმნათ ღირსეული სამუშაო ადგილები, ეს პირდაპირ ეხებათ სასტუმროების მფლობელებს, მათ დირექტორებსა და მენეჯერებს.

შესთავაზეთ ღირსეული პირობები და ანაზღაურება ახალგაზრდებს, და ნუ გაუშვებთ საზღვარგარეთ სამუშაოდ მეტი ანაზღაურებისთვის და იმ მოტივით, რომ ადამიანურ რესურსს, მათი შრომას სამშობლოში არ აფასებენ.

**იზა იანვარაშვილი**

**რედაქტორის მინაწერი: ზემოთ აღწერილი ფაქტი მარტო დიასახლისების და დამლაგებლების შრომის მიზერულ ანაზღაურებას არ ეხება. ასეა ყველგან და ყველაფერში. დღეს საქართველოში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას უმუშევრობა და დაბალი ანაზღაურება წარმოადგენს, ამიტომაც გარბიან ქვეყნიდან შრომისუნარიანი ადამიანები. სანამ ეს პრობლემა არ მოგვარდება და კონკრეტულად არ განისაზღვრება დასაქმებულის საათობრივი (მინიმალური და მაქსიმალური) ანაზღაურება, მანამდე დარჩება ეს პრობლემა მოუგვარებელი.**

**დროა, დამსაქმებელი მიხვდეს და შეიგნოს სხვისი შრომის ხარჯზე გამდიდრება მარტო უსამართლობა კი არაა, არამედ უზნეობაცაა.**

**თუ ევროკავშირში შესვლა გვიხარია და იქითკენ მივილტვით, დამსაქმებლებმა დროა, იგრძნონ პასუხისმგებლობა დასაქმებულებისადმი. სხვა მხრივ ევროკავშირში არაფერი გვესაქმება, ისევ ისეთივე მონათმფლობელურ პირობებში იქნება დასაქმებულიც და დამსაქმებელიც.**

# თეატრში ადამიანურ ურთიერთობებს სწავლობენ

**ახალგაზრდა, ნიჭიერმა რეჟისორმა გიორგი ლომიძემ, საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობა წაღვერის კულტურის სახლში თითქმის შვიდი წლის წინ დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ის თბილისში მოღვაწეობდა, (სახალხო თეატრის მსახიობი გახლდათ), ხოლო წაღვერის კულტურის სახლში არანაირი პირობა და რესურსი არ არსებობდა. თუმცა, წაღვერის კულტურის სახლის დირექტორის, ქალბატონი დალი ქასაშვილის დიდი ძალისხმევითა და გვერდში დგომით თეატრ-სტუდია „ვოდევილი" დღემდე არსებობს და უკვე ბოლო რამდენიმე წელია საკმაოდ საინტერესო სპექტაკლებით ანებივრებს ბორჯომელ და წაღვერელ მაყურებელს.**

**სტუდიის მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ, სასაუბროდ რეჟისორს და მის მოსწავლეებს რეპეტიციაზე ვესტუმრეთ:**

**● ბატონო გიორგი საწყის პერიოდს როგორ გაიხსენებთ წაღვერის კულტურის სახლში?**

– 7 წლის წინათ ფაქტიურად ყველაფერი თავიდან დავიწყეთ,ანუ იმ დროიდან, როდესაც არანაირი რესურსი არ არსებობდა, თუმცა ბევრი სირთულის მიუხედავად დღევანდელ დღემდე მოვედით. პირველ რიგში უდიდეს მადლობას მოვახსენებ ქალბატონ დალი ქასაშვილს. მან წაღვერის კულტურის სახლში ერთი ოთახი დაგვითმო, რომლისთვისაც უზომოდ მადლობელი ვარ. ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტს ვემადლიერები, რომელმაც წლების შემდეგ შტატი გამოყვეს ჩემთვის. მახსოვს, პირველად როგორ შევაგროვე რამდენიმე მოსწავლე და შევუდექით მუშაობას, თუმცა ოთხი წლის მანძილზე ფაქტიურად სარდაფის პრინციპით გვიწევდა საკუთარი სპექტაკლების ჩვენება. ფართო მაყურებლის წინაშე ოთხი წლის შემდეგ წარვსდექით.

**● მოსწავლეების, სტუდიის წევრების შერჩევის პროცესი რამდენად რთული იყო?**

– დაახლოებით ოცამდე მსურველი მოვიდა, თუმცა დროთა განმავლობაში მათი რიცხვი საკმაოდ შემცირდა და ოთხი წლის მანძილზე 5 ბავშვთან ერთად მიწევდა მუშაობა.

**● ამ ეტაპზე რამდენი წევრისაგან შედგება თქვენი თეატრ-სტუდია და ყველაზე უმცროსი ასაკის მოსწავლე რამდენი წლისაა?**

– ყველაზე პატარა ასაკის მოსწავლე გვყავდა შვიდი წლის, ხოლო ამ ეტაპზე გვყავს 9 წლის. ცალკე გვყავს თეატრალური დასი, რომელიც ოფიციალურად 2023 წლის სექტემბრიდან არსებობს და რომელიც 6 წევრისაგან შედგება, ასევე გვაქვს კონტაქტები, რაც გულისხმობს მსახიობების მოწვევასაც და ცალკე სტუდიაში 7 მოსწავლე ირიცხება.

**– თქვენ სპექტაკლებზეც რომ ვისაუბროთ, რომლებიც ამ წლების მანძილზე დადგით და გაგიცნოთ მაყურებელმა?**

– დავიწყებ ამონარიდებიდან. „მე ვხედავ მზეს". აღნიშნული ნაწარმოებიდან ხატიას და სოსოიას დიალოგები მქონდა შეკრებილი და დავდგი პატარა მინი სპექტაკლი, ასევე „კუკარაჩადან". ყველაზე დასამახსოვრებელი სპექაკტლი იყო „ბოშები", რომელიც უდიდესი გამოწვევა იყო ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ასევე პატარა მსახიობებისთვისაც, რომელმაც ძალიან დიდი სიყვარული და აღიარება მოგვიტანა. სპექტაკლი 2022 წლის აგვისტოში დავდგით წაღვერის კულტურის სახლში, მოგვიანებით ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ვუჩვენეთ. მნიშვნელოვანია, ის, რომ იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა სპექტაკლმა, რომ მიგვიწვიეს ხონში ფესტივალზე, სადაც მამაკაცის საუკეთესო და მამაკაცის მეორე ხარისხოვანი როლის შესრულებისთვის დაჯილდოვდნენ ჩვენი მსახიობები **ლევან მიქაბერიძე** და **ზურაბ ნოზაძე.**

**● პროფესიონალ მსახიობებთან მუშაობა თავისთავად მარტივია, ხოლო ჯერ კიდევ სცენის მოყვარულებთან, რომლებიც თქვენგან სწავლობენ ყველაფერს, რამდენად რთულია?**

– ის რაც ახალგაზრდა თაობას და მოზარდებს ეხებათ, ყველაფერი საინტერესოა. სასიამოვნოა მათი აზრების მოსმენა. მათთან მუშაობით ვიზრდები. პროფესიონალი მსახიობი ხომ ყველა დავალებას პირნათლად ასრულებს, ხოლო მოზარდებთან თითოეული



დეტალის სწავლება გვიწევს, თითოეული მოძრაობის (ჟესტიკულაციის, მიმიკის). რაც ძალიან დამღლელია, თუმცა ამავდროულად ძალიან საინტერესოც. საბოლოო შედეგისთვის დამღლელი შრომა ნამდვილად ღირს.

**● მინდა პირადად თქვენი სცენარის მიხედვით დადგმულ ბოლო სპექტაკლზეც ვისაუბროთ, რამდენად საინტერესო და რაც მთავარია, საპასუხისმგებლოა საკუთარი სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლის მაყურებლამდე მიტანა?**

– „დაუჯერებელი ამბავი" საკუთარი სცენარის მიხედვით დავდგი და მასში მოთხრობილია ქართველი თოვლის პაპას ცხოვრება, რომელმაც დაკარგა საკუთარი პირადი ბედნიერება და ორიენტირებული გახდა მხოლოდ სხვების გაბედნიერებაზე. სპექტაკლის მთავარი სათქმელიც გახლავთ ის, რომ შეიძლება სიკეთემ არ გაიმარჯვოს ბოროტებაზე. ჩემთან ერთად აღნიშნულ სპექტაკლში სცენარის თანაავტორი და რეჟისორის ასისტენტი გახლდათ ამავე სტუდიის აღზრდილი **ნენე ქაჯაია.** აქტიურად გვეხმარება ბოლო ორი წელია ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობი **ბაქარ ლომიძე.** ნენე და ბაქარიც მოგახსენებენ საკუთარ აზრს სტუდიასთან დაკავშირებით.

**ბაქარ ლომიძე:** – ბედნიერი ვარ, რომ ბავშვების თეატრალურ განვითარებაში პატარა წვლილი მეც შევიტანე. თუ დაამახსოვრდებათ ყველაფერი, რაც ისწავლეს, მოხარული ვიქნები. ორ რეჟისორთან მუშაობის გამოცდილება მიიღეს. სამი პატარა სპექტაკლი დავდგი ბავშვებთან ერთად და ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის მათთან მუშაობა. ვუსურვებ წარმატებას, დიდ შრომას, როლზე მუშაობის დროს არსებული ყველა სირთულე მსუბუქად გადალახონ, ყოველი პრემიერის დღეს მაყურებლის მხურვალე ტაში არ დააყოვნებს. დიდი ფუფუნებაა და სიძლიერეა თეატრისათვის, როდესაც დასში განსხვავებული გარეგნობის და ხასიათის მოზარდები შედიან. ჩემ მეგობარ გიორგი ლომიძეს ვუსურვებ დიდ წარმატებას შემოქმედებით გზაზე. ბოლოს კი ვიტყოდი, რომ თეატრის მიზანი მარტივია, მიანიჭო ადამიანს ბედნიერება.

**ნენე ქაჯაია:** – თეატრ-სტუდია „ვოდევილი" ყველა ადამიანს აძლევს შანსს, რომ იპოვონ საკუთარ თავში დამალული ნიჭი ნებისმიერი კუთხით. სრულიად იცვლება ცხოვრება, როდესაც თეატრის ნაწილი ხდები, უფრო ლაღი ხარ, ფერადი. ჩვენთვის ეს არ არის მხოლოდ თეატრ-სტუდია, ჩვენთვის ის პიროვნებაა თვალდახუჭული რომ ვენდობით გიორგის და ჩვენ შორის, როგორც რეჟისორსა და მსახიობებს შორის, ოქროს შუალედები უდავოდ დაცულია, თუმცა ამ ყველაფრის შემდეგ იწყება მეგობრობა, ურთიერთობები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჯერ კიდევ ძალიან პატარა თეატრი უკვე ძალიან პოპულარულია. ვფიქრობ, ეს იმის დამსახურებაა, რომ ჩვენ მაყურებელს ყოველთვის ვთავაზობთ რაღაც ახალს, უცხოს, იმას, რაც ჯერ არ უნახავთ. ბოლო პიესა პირადად ჩემი და გიორგის შემოქმედებაა, ვფიქრობ, ამ სპექტაკლით ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არსებულ პრობლემებს ავხადეთ ფარდა, ჩვენი სპექტაკლები ძირითადად ამას ემსახურება. ჩვენი თეატრი არის ცოცხალი, ურთიერთობებით სავსე. თუ გინდა თეატრის ნაწილი იყო, თავდაუზოგავად უნდა იშრომო. თეატრში უნდა ცხოვრობდე, ეს არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ადგილი შენთვის, იმდენად ჯადოსნურია, რომ გნუსხავს და გგონია, დრო ძალიან ნელა გადის.

**● მინდა თქვენ მოსწავლეებსაც მივმართოთ კითხვით, ვისაც ექნება სურვილი, რომ თეატრის შესახებ ისაუბრონ.**

– დიახ სიამოვნებით.

**● მაინტერესებს, როგორ დაახასიათებდით ბატონ გიორგის, ის უფრო ხელმძღვანელია თუ მეგობარი? და საერთოდ, რამდენად საინტერესოა შენთვის როგორც ახალგაზრდა მსახიობისთვის სპექტაკლებზე მუშაობა?**

**ნიკოლოზ პეტროსიანი,** მსახიობი:

– ჩემი მოღვაწეობა სახალხო თეატრის რეჟისორ ზაზა კიკნაველიძესთან დაიწყო, ხოლო გიორგისთან უკვე ორი წელია აქტიურად ვთანამშრომლობ. მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში გიორგი არის ძალიან კეთილი ადამიანი, უყვარს საკუთარი საქმე და ნამდვილი პროფესიონალია. აი, როცა საქმე სპექტაკლს ეხება, მაშინ სრული პასუხისმგებლობით ეკიდება ყველაფერს და მეგობრობა მეორე პლანზე ინაცვლებს. სწორედ ამ პროფესიონალიზმს ვაფასებ მასში მეც და ჩემი მეგობრებიც.

**● გარდა იმისა, რომ თქვენ სტუდიაში თეატრის სიყვარულს სწავლობენ მოსწავლეები, რა არის ის მთავარი რის გამოც ღირს თქვენთან მოსვლა?**

– პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად ისინი სწავლობენ ადამიანურ ურთიერთობებს და ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია. სტუდიის წევრების უმეტეს ნაწილს სამომავლოდ მსახიობის პროფესიის დაუფლება სურთ. ჩვენი სტუდიის ყოფილი წევრი უკვე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია. მწამს, რომ სამომავლოდ რა[illegible]ის პროფესიაც არ უ[illegible] აირჩიონ, პირველ რიგში ადამიანური ურთიერთობები ეცოდინებათ.

**● სამომავლო გეგმები რომ გაგვიმხილოთ.**

– ჩვენ ვმუშაობდით სპექტაკლზე „პენტერაფობია", რომელზე მუშაობაც საახალწლო სპექტაკლიდან გამომდინარე ცოტა ხნით შევაჩერეთ და ახლა ისევ შემართებით ვაგრძელებთ მასზე მუშაობას, რომ გაზაფხულამდე მოვასწროთ. სამომავლო გეგმას შეეხება კიდევ ერთი დიდი სურვილი, რომ სახალხო თეატრთან ერთად ბორჯომში არსებობდეს მოზარდების თეატრი. ვფიქრობ, უკეთესიც კი იქნება თუკი ქალაქში ორი თეატრი იარსებებს.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

## დამსახურებული მეტყევე, რომელიც დავიწყებას არ იმსახურებს!

# ბორჯომის ხეობის ბუნების ერთგული გუშაგი

**დავით ყარსელიშვილის შრომას მაღალ შეფასებას აძლევდა თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი ადოლფ კრისტიან როლოვი. იგი 1935 წლის 7 აპრილით დათარიღებულ ცნობაში აღნიშნავდა: „ამ ცნობით ვადასტურებ, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღის ჩემი დირექტორობის დროს, ბორჯომის მამულის ბაკურიანის მეტყევე იყო დავით ვასილის ძე ყარსელიშვილი, რომლის ხელშეწყობითა და დახმარებით საფუძველი ჩაეყარა ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის განყოფილების აყვავებას, შეიძლება ითქვას, იგი არის ამ ბაღის ერთ-ერთი ფუძემდებელი.**

**ამასთანავე იგი აწარმოებდა ფართო სამუშაოებს კავკასიის ფლორის კვლევაში – სხვადასხვა რაიონების და სარტყლების მცენარეთა განსაზღვრაში, თესლების შეგროვებული მასალის ნაწილს უგზავნიდა თბილისის ბოტანიკურ ბაღს, რომელიც იყენებდა ამ მასალას თავიანთი შრომების გამოქვეყნების დროს".**



**დავით ყარსელიშვილს** დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მოსახლეობაში. 1935 წლის 11 აპრილით დათარიღებულ ერთ ცნობაში, რომელსაც ამოწმებს წაღვერის სასოფლო საბჭო, ვკითხულობთ: – ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერები წაღვერის სასოფლო საბჭოს „წითელის პარტიზანის" და კომპარტიის წევრები ამით ვამოწმებთ, რომ მეტყევე ამხ. **დავით ვასილის ძე ყარსელიშვილმა** იმუშავა ბაკურიანი-წაღვერის რაიონში 1897-1910 წლის დამლევამდე და 1922-23 წლებში და მთელი ეს პერიოდი აღნიშნულია უმწიკვლო, კეთილსინდისერი, ნაყოფიერი და ფრიად სასარგებლო მუშაობით, როგორც ტყეების მოვლა-დაცვით, აგრეთვე მისი ხელოვნურად მოშენებით და სხვა. ის ყოველთვის ფხიზელ დარაჯად ედგა ტყეებს და აგიტაციით და დარიგებით შეჰქონდა მოსახლეობაში შეგნება ტყეების შენახვაზე და ამგვარად გადაარჩინა ბორჯომის რაიონის ტყეები განადგურებისაგან 1905 წელს გამოსვლების დროს, როდესაც მოსახლეობა სხვა ადგილებში ძალზე ანადგურებდა ტყეებს."

**გაგრძელება, დასაწყისი გაზ. „ბორჯომი", №7, 24 თებერვალი, 2024 წელი.**

რაც შეეხება ხელოვნური ტყის მოშენებას, ამ მხრივ მას აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის „გვირგვინას" მთაზე და სხვაგან ძველ ნახანძრალებზე, ხელოვნურად გააშენა რამდენიმე ასეული ჰექტარი მშვენიერი ფიჭვის ტყეები, რისი მსგავსიც ჯერ არ გაკეთებულა. „გვირგვინაზე" მოშენებული ტყე 1930წ. პირადად ინახულა საქ. ცეკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ.

წაღვერის მინერალური წყლის კაპტაჟი აგრეთვე გაკეთებულია მის მიერ, მანამდე კი წყალი მოთავსებული იყო უბრალო ხის აუზში მიწის პირად და იმყოფებოდა მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში. მანვე გააკეთა მრავალი შენობები სხვადასხვა რეგიონებში, როლებიც ამჟამად სატყეოს უწევენ მომსახურებას.

გარდა სატყეო მუშაობისა, ამხ. ყარსელიშვილი მუშაობდა აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ხაზით: მან გააშენა წაღვერში ხილის ბაღი და სანერგე და მისი მაგალითით და დარიგებით მოსახლეობამ დაიწყო ხეხილის მოშენება თუ ძველად რაიონში იშიათად შეხვდებოდით ხეხილს, დღეს თითქმის ყველა მოსახლეს აქვს მოშენებული ბაღში თუ ეზოში.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამხ. ყარსელიშვილი, რითაც კი შეეძლო ეხმარებოდა მოსახლეობას: უსასყიდლოდ ადგილის და ხე-ტყის მასალის მიცემით, უმიწოს – სახნავ-სათიბის გამონახვით, ფულადი დახმარებით, თანამშრომლის შვილებს განათლების მიღებაში და სხვა.

არც რევოლუციურ მოძრაობიდან არის ის ჩამორჩენილი: მიუხედავად მძიმე პირობებისა, რომელშიც ის მაშინ იმყოფებოდა, აგრეთვე თვალსაჩინო თანამდებობისა, – მაინც შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა რევოლუციურ მოძრაობას და ყოველგვარ დამხარებას უწევდა რევოლუციონერებს, რამაც გამოიწვია მისი სრულიად საქართველოდან „მოშორება".

**ცნობას ხელს აწერენ: ლაზარე კაჭუნაშვილი, ვასილ გელაშვილი, ანდრო თასოშვილი, არსენა ქარქუზაშვილი და სანდრო ბარბაქაძე".**

1939 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ტყის და შენადნობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია.

**– მოისმინეს:** ადგილკომის და საქ.სსრ ტყის სახალხო კომისრის ბიუროს 27/X-1938 წლის მიმართვა **მეტყევე-ინჟინერ დავით ვასილის ძე ყარსელიშვილისთვის შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ,** 48 წლიანი უწყვეტი, თავდადებული, ფრიად საჭირო და ნაყოფიერი მუშაობისთვის, როგორც სატყეო მეურნეობის სფეროში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე (ამხ.რაზმაძის მოხსენება).

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ დავით ყარსელიშვილს შრომის გმირობა არ მიანიჭა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას გარკვეული წლები ნამსახური ჰქონდა „ცარიზმის" სამსახურები.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დაუმსახურებელი გულისტკივილისა დ. ყარსელიშვილი 1947 წლამდე პერსონალურ პენსიაში გასვლამდე მოღვაწეობდა საქართველოს სატყეო დარგში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

დავით ყარსელიშვილი გარდაიცვლა 1956 წელს, დაკრძლულია ქ. თბილისში.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დავით ყარსელიშვილმა გაატარა, როგორც თავისი სამშობლოს დიდმა პატრიოტმა და ღირსეულმა შვილმა. მას შექმნილი ჰქონდა ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი საპატივცემულო და საამაყო ოჯახი. მისი მეუღლე გახლდათ სოფიო ივანეს ასული პობედიმოვა, რომელიც იყო უცხო ენების (ფრანგული, გერმანული) სპეციალისტი, ასწავლიდა გიმნაზიებში და სკოლებში. მათ ჰყავდათ ორი ქალიშვილი თამარი და ნინო. თამარი პროფესიით იყო აგრონომი. მისი ერთადერთი ვაჟი ოთარ ცქიტიშვილი სამხედრო ოფიცერი, ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა. მეორე ქალიშვილმა ნინომაც, აგრონომის პროფესია აირჩია, მისი მეუღლე იყო ცნობილი პროფესორი ნიადაგმცოდნე აკაკი სანიკიძე. მათ ჰყავდათ ქალიშვილი მედეა სანიკიძე ექიმ-გინეკოლოგი და სიძე ვლადიმერ ბუჯიაშვილი, რომლებიც ღირსეულად აგრძელებდნენ საამაყო პაპის საპატიო ტრადიციებს.

**P.S. გაზეთ „ბორჯომის" რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და შესაბამისმა ორგანოებმა დავით ყარსელიშვილის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიაკუთვნოს ბაკურიანის ბოტანიკურ ბაღს, როგორც მის ერთ-ერთ ფუძემდებელი და ქუჩას ან სკვერს ქ. ბორჯომში, წაღვერში ან ბაკურიანში.**

**ალგი ლომიძე**

**ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი**



# ვულოცავთ!

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირული რეგიონალური გაერთიანების თავმჯდომარეს **მიხეილ ლომიძეს** ვულოცავთ რკინიგზელთა პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესის საიუბილეო მედლით დაჯილდოებას.



**ვალიკო, ალგი ლომიძეები, თემურ ხუხუნაიშვილი.**

22 თებერვალი ლაბორატორიის დღეა

# გილოცავთ პროფესიულ დღეს!



ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსის“ მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს ყოველდღიურად უამრავი პაციენტი აკითხავს. განსაკუთრებულად ბევრი პაციენტის მიღება უწევთ ლაბორატორიულ განყოფილებას.

„ჯეოჰოსპიტალსის“ მრავალპროფილური კლინიკა რაიონში ერთადერთი კლინიკაა, სადაც წარმოებს ლაბორატორიის შიდა და გარე კონტროლი, რაც მეტი სანდოობის გარანტიაა.

მთელი დღის მანძილზე ლაბორატორიას უამრავი მოქალაქე აკითხავს, რომლებიც შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობენ. აქ ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში შესაძლებელი თქვენთვის სასურველი ანალიზის გაკეთება.

1996 წლის 22 თებერვლიდან, ბორჯომის სამედიცინო დაწესებულებების ლაბორატორიაში მომუშავეთა დღე აღინიშნება.

თამარ დათუნიშვილი „ჯეოჰოსპიტალსის“ ლაბორატორიული მიმართულების ხელმძღვანელი: – მინდა ლაბორატორიის დღე მივულოცო ბორჯომში არსებული სამედიცინო დაწესებულებების ლაბორატორიაში მომუშავე ყველა თაობისა და ასევე ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალბის“ ლაბორატორიის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც წლების მანძილზე საკუთარი საქმის სიყვარულითა და ერთგულებით მუდამ იდგნენ და დღესაც დგანან ბორჯომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.



არიან ადამიანები, რომლებიც დიდი სიყვარულით, სითბოთი, კეთილი, გამორჩეული ღიმილით, მშვენიერი სულით, მზიანი მზერითა და კეთილი გულით დადიან ბორჯომის ქუჩებში. უწყინარი და უბოროტო ცხოვრებით ცხოვრობენ, ათბობენ და ალამაზებენ ირგვლივ ყველასა და ყველაფერს. სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება ბორჯომელთათვის კარგად ცნობილი, საყვარელი – „კოლორიტი“ ქალბატონი **ნათელა ჩუტკერაშვილი**, რომელსაც უდიდესი სიყვარულით ვულოცავთ 84 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თავის ლამაზ და საყვარელ ოჯახთან ერთად.

**მეგობრები**



ყველაზე სანდო, ერთგულ, გულისხმიერ მეგობარსა და კოლეგას, **გიგა სამსონიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. წელთა სიმრავლესა და ულევ წარმატებას ვუსურვებთ. დღეგრძელობა, მზეგრძელობა არ მოკლებოდეს.

**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები**

# საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები

**მოცარტის სახელობის IX საერთაშორისო კონკურსში ბორჯომის სამუსიკო სკოლის წარმატებული პედაგოგის მარინე რატიანის სამი მოსწავლე მონაწილეობდა ბარბარე მაჩაიძე, ოთარ ოთარაშვილი და ლიზი ხაჩიძე.**

III კლასელმა ბარბარე მაჩაიძემ სპეციალური პრიზი პირველ ტურში მეორე ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის მოიპოვა. ოთარ ოთარაშვილმა კი III საპრიზო ადგილით გაახარა გულშემატკივრები, ხოლო ლიზი ხაჩიძე II საპრიზო ადგილით დაგვიბრუნდა.

მასწავლებელთან ერთად სამივე გამარჯვებული მოსწავლე დაგეგმილ გალა-კონცერტზე მიიწვიეს, სადაც მოსწავლეების მიერ შესრულებულმა ნაწარმოებებმა კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მსმენელი და საღამო მადლობის დაუსრულებელი სიტყვებით დასრულდა.

– მინდა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენთაგანს, ვისაც ჩვენი წარმატებები გაგიხარდათ და გაიზიარეთ. ვინც მოგვილოცეთ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, ვისაც გიყვართ მუსიკა.

ბავშვებმა ასახელეს საქართველო, მშობლიური რაიონი და რა თქმა უნდა, მეც. მასწავლებლის ყველაზე მთავარი მიღწევაც და ჯილდოც ესაა – ზღვა სიხარულის ემოცია და მისგან განცდილი სიამაყე. მადლობა ბავშვებო, – ამ სიტყვებით უზიარებს ემოციებს ქალბატონი მარინე მეგობრებსა და თანამოქალაქეებს.

– სამუსიკო სკოლის დირექცია და პედაგოგები ვულოცავთ მარინე რატიანსა და ჩვენი სკოლის საამაყო მოსწავლეებს ამ დიდ წარმატებებსა და ვუსურვებთ ყოველთვის გამარჯვებით დაბრუნებას. მადლობა თითოეულ მათგანს გაწეული დაუღალავი და თავდადებული შრომისათვის, – ნათქვამია ბორჯომის სამუსიკო სკოლის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

**იზა იანვარაშვილი**

# გამოავლინეს უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავების ფაქტი



სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა, ბორჯომში, სოფელ ლიბანში, რეგისტრირებულ სახერხ საამქროში უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამუშავების ფაქტი გამოავლინეს.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, საამქროს შიდა პერიმეტრსა და მიმდებარე ტერიტორიაზე 5 კუბურ მეტრამდე წიწვოვანი სახეობის სამასალე მერქანი იქნა აღმოჩენილი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახერხი საამქრო დალუქეს, ხოლო უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე გადატანილია ახალციხის საქმიან ეზოში. საქმის მასალები, შემდგომი განხილვის მიზნით, გადაიგზავნება შესაბამის რაიონულ სასამართლოში.


## გაზეთ „ბორჯომის“ ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ახალი მართვის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით გთავაზობთ გაზეთში ფასიანი წერილების, განცხადებების, მილოცვების და ა.შ. გამოქვეყნების პრეისკურანტს.

რეკლამა – 30 ლარი;
სამგლოვიარო განცხადება – 20 ლარი;
მილოცვა – 20 ლარი;
ფასიანი წერილის ღირებულება – 1 სვეტი – 30 ლარიდან.
დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით. ტელეფონი: 599 227 929.

რედაქცია.


**ვაცხადებთ ვაკანსიას!**

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს გაზეთის კორესპონდენტის პოზიციაზე.
დაწვრილებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით ტელ: 599 227 929

რედაქცია.

ჭადრაკი

# ორი თასი – ბორჯომელებს





**9-11 თებერვალს** ქ. ახალციხეში მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთის პირადი პირველობა ჭადრაკში 7-8 და 11-12 წლის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის; შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბორჯომელი მოსწავლეებიც.

თანაქალაქელების და თანაკლასელების (ბორჯომის №3 საჯარო სკოლის V კლასელების, აგრეთვე ბორჯომის სპორტსკოლის აღსაზრდელების **ბარბარე შონიას** და **თეა რუსიტაშვილის** შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. ბარბარეს რამდენიმე წამი ჰქონდა დარჩენილი და სიჩქარეში თეამ ვერ შეამჩნია პოზიციის სამჯერ გამეორება. ამრიგად, ყაიმი დაფიქსირდა. მათ თანაბარი ქულები მოაგროვეს, ყველა შეხვედრა მოიგეს. ურთიერთშეხვედრაში ბარბარე შავებით თამაშობდა, ამიტომ ჩემპიონობა მას მიენიჭა, მედალთან და სიგელთან თასიც მას გადაეცა. ეს უკვე ბარბარეს სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონობის მეექვსე თასია! ორივემ გაინაღდა საგზური საქართველოს პირველობის უმაღლესი ლიგის ფინალში სათამაშოდ, რომელიც წელს მაისში ბათუმში გაიმართება.

შეჯიბრებაში პირველად მიიღო მონაწილეობა 7 წლის **ქეთი მესხმა**, მისი ასპარეზობა ფეხბედნიერი აღმოჩნდა და სამცხე-ჯავახეთის ჩემპიონობა მოიპოვა! როგორც ჩანს იგი თავისი უფროსი ძმის, სამცხე-ჯავახეთის მრავალგზის ჩემპიონების გიორგის და დათოს გამარჯვებების ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი იქნება.

**უშანგი ჯანგირაშვილი.**
**მწვრთნელი.**

# სპორტული შაბათ-კვირა

**ბაკურიანი გასული შაბათ-კვირა** დატვირთული იყო სპორტული შეჯიბრებებით. ლადოს თასი ყოველწლიურად იმართება უკვე მეთექვსმეტე წელია. ის სპორტული სკოლა იკისკის მწვრთნელის, ლადო ბოლქვაძის საპატივსაცემად დაარსდა, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ტურნირი თანდათან მასშტაბური გახდა. თუ თავიდან მასში მხოლოდ იკისკის სკოლის აღსაზრდელები იღებდნენ მონაწილეობას, ახლა ყველა მსურველს შეუძლია შეერკინოს ერთმანეთს, ასაკისა და პროფესიონალიზმის მიუხედავად. ორგანიზატორების მიზანია, ლადოს თასი გასცდეს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და საერთაშორისო დონეზე დაიმკვიდროს შესაბამისი სახელი. ამიტომ წლევანდელ ტურნირს, რომელიც კოხტა გორის ფერდობზე 17 თებერვალს გაიმართა, უცხოელი ექსპერტი, FIS-ის დელეგატი **პიტერ კროგოლი** აკვირდებოდა. შეჯიბრის ორგანიზატორებისა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად ის შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს, რათა ტურნირმა მომავალში საერთაშორისო სტატუსი მიიღოს. ლადოს თასი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს კალენდარული გეგმის ნაწილია. ტურნირის მთავარი პარტნიორი SMH Sports-ია. შეჯიბრი გიგანტურ სლალომში 3 ასაკობრივ (7-12, 13-17, 18) კატეგორიაში იმართება. გამარჯვებულები გამოვლინდებიან როგორც გოგონათა ასევე ვაჟებს შორის, რომლებსაც თასები, მედლები და სხვადასხვა ფასიანი ჯილდოები გადაეცემათ.



სურათზე: **დათო ნასყიდაშვილი, საბა ხაჩიძე და გიორგი დიაკონოვი**

წლევანდელ ტურნირზე ბაკურიანელ მოთხილამურეთა უპირატესობა აშკარა იყო. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში კვარცხლბეკზე ავიდნენ **დათო და ალექსანდრე ნასყიდაშვილები, საბა ხაჩიძე, გიორგი დიაკონოვი, ანანო სანაკოევი, თეკლა ვიბლიანი, ნიკოლოზ სხირტლაძე, ალექსანდრე მურადიანი, ნიკა ბუხრიკიძე, ალექსანდრე ცხოვრებაშვილი, გიორგი და ნინო კურტანიძეები, ანა მაზმიშვილი.**

ბაკურიანელებმა არავის დაუთმეს პირველობა 18 თებერვალს მიტარბის ტრასაზე გამართულ ბეტლივე-ს მიერ გამართულ ტურნირზეც. ქალთა და მამაკაცთა შორის სამივე საპრიზო ადგილი ასე გადანაწილდა: **სუსანა გავვა, ანა მაზმიშვილი და ნატაშა გავვა**. მამაკაცებს შორის **იასონ აბრამაშვილი** პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილი **დათო გავვასა** და **დავით თედიაშვილს** ერგოთ წილად.

ასევე აღსანიშნავია სვანეთში თაზო ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე ბაკურიანელი **გიაკო თედიაშვილისა** და **სუსანა გავვას** ტრიუმფი.

ყოველთვის გვეამაყება ჩვენებურები!

**რუსუდან სხირტლაძე**


გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე